თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #11

ქ. თბილისი 2022 წელი, 16 მაისი, 14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ჩხარტიშვილი, მიხეილ კაკაურიძე, კონსტანტინე ზარნაძე, მამუკა გუგეშაშვილი, მიხეილ კაკაურიძე, ლილე ლიპარტელიანი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გიორგი ტყემალაძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ზაზა თავაძე (03-0322136127 – 16/05/022), საბა ბუაძე

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:
ზვიად გაჩეჩილაძე - სემეკის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
ზვიად ვაშაკიძე - ს.ს. თელასის ტექნიკური დირექტორი
ვახტანგ ნოზაძე - შ.პ.ს. „ეკოსერვის ჯგუფის" დირექტორი
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი
თბილისის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი
ნიკოლოზ გელიაშვილი - შ.პ.ს. „თელმიკოს" წარმომადგენელი

№	საკითხის დასახელება
1.	დედაქალაქში ენერგოდისტრიბუტორი კომპანიების (შ.პ.ს. თელმიკო, ს.ს. თელასი) მუშაობის სპეციფიკა, ვალდებულებები და არსებული პრობლემები

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

სემეკის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ზვიად გაჩეჩილაძის თქმით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას

ახორციელებს დამოუკიდებლად, კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში და არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. იგი არის კოლეგიური ორგანო და გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. კომისიის სხდომები საჯაროა და მათზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ენერგეტიკისა და წყლამომარაგების სექტორებში კომისიის რეგულირებას დაქვემდებარებულ საწარმოებსა და მომხმარებელთა ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა, მარეგულირებელი ჩარჩოს მუდმივი სრულყოფა, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. ასევე დამატებით აღნიშნუა, რომ ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობა; მომსახურების ხარისხის სრულყოფა; საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; მომხმარებელთათვის ახალი და გამარტივებული დისტანციური სერვისების შეთავაზება; მომხმარებელთა ინფორმირებულობის გაზრდა მათი უფლება-მოვალეობების შესახებ; მწვანე ენერგიის წარმოების და ნეტო-აღრიცხვის ხელშეწყობა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა.

ს.ს. თელასის ტექნიკური დირექტორის ზვიად ვაშაკიძის თქმით, სს „თელასი"-ს საქმიანობა მოიცავს: ელექტროენერგიის ტრანსპორტირებას; თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელის მომსახურებას, ექსპლუატაციას, რეკონსტრუქციას, მოდერნიზებას და გაფართოებას ელექტროენერგეტიკული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. კომპანია ახორციელებს ელექტროენერგიის სატრანზიტო მომსახურებას, აბონენტთა ტექნიკურ მომსახურებას, თბილისში წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირებას. კომპანია ემსახურება 697,4 ათას აბონენტს. მომხმარებელთა მომსახურება და ელექტროქსელის ექსპლუატაცია ხორციელდება 8 ბიზნეს ცენტრის მეშვეობით, რომლებიც განთავსებულია ქალაქის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში. დედაქალაქის ელექტროქსელის საერთო სიგრძე 6 289 კმ შეადგენს. კომპანიის საკუთრებაშია 36 110/35 კვ დამადაბლებელი ქვესადგური და 2 169 10/6/0,4 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგური. თელასი ახორციელებს სამუშაოებს ელექტროქსელის ტექნიკური გადაიარაღების და მოდერნიზაციის მიზნით. ძირითადი ყურადღება ეთმობა გამანაწილებელი ქსელის ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე სუსტი სეგმენტების რეაბილიტაციას. პრიორიტეტული ამოცანაა - ტექნიკური ინციდენტების რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა და ელექტროენერგიის დანაკარგების მნიშვნელოვანი შემცირება.

კომისიის თავმჯდომარის რევაზ სოხაძის თქმით, თბილისის მასშტაბით რეგულარულად არის პრობლემა „თელასის" მიერ საკუთარი ელექტროქსელების მოუვლელობასთან დაკავშირებით და რიგ შემთხვევაში სამშენებლო თუ გამწვანებითი სამუშაოების ჩატარების პროცესში მიწაში არსებული ელექტროქსელები ხელს უშლის სამუშაოების ხარისხიან შესრულებაში. კერძოდ, ქსელები მიწაში რეგლამენტის დაღვევით არის ჩადებული.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით თელასის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დღესდრეობის ქსელების 70 % აღწერილია რუკაზე.

ასევე კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა თბილისში უსახურ მრიცხველებზე, რომლებიც ნიშანდობლივად ამახინჯებენ ტურისტულ თუ არატურისტულ სივრცეებს დედაქალაქში.

ს.ს. თელასის ტექნიკური დირექტორის ზვიად ვაშაკიძის თქმით, სს „თელასი" ეტაპობრივად ახორციელებს მსგავის მრიცხველების ჩანაცვლებით სამუშაოებს.

კომისიის სხდომას ესწრებოდა შპს ,,თელმიკოს" წარმომადგენელი ნიკოლოზ გელიაშვილი, მისი თქმით, 2021 წლის 1 ივლისიდან ქ.თბილისში ელექტრომიმწოდებელ საქმიანობას ახორციელებს თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია - „თელმიკო". კომპანია ელექტროენერგიით უზრუნველყოფს დედაქალაქის 600 ათასზე მეტ მომხმარებელს. ასევე ახორციელებს ისეთ საქმიანობას როგორიცაა: ქვითრების დაგზავნა, ფინანსური ანგარიშსწორება, მომხმარებელის სახელშეკრულებო მომსახურება და სხვა. აწვდის ელექტროენერგიას, როგორც უნივერსალური, საჯარო და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლი. კომპანია მუდამ მზად არის მუნიციპალიტეტთან აქტიურ თანამშრომლობაზე და პრობლემების აღმოფხვრაზე.

კომპანიის გარშემო კომუნიკციის პრობლემაზე ისაუბრა ,,ეკოსერვის ჯგუფის" დირექტორმა ვახტანგ ნოზაძემ და ითხოვა ,,თელმიკოს" მხრიდან საკონტაქტო პირის გამოყოფა, რომელიც აქტიურად იქნება ,,ეკოსერვის ჯგუფთან" სამუშაოების განხოერციელების პროცესში ჩართული.

კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ მზად ყოფნა გამოხატა კომისიის სახელით დედაქალაქში ენერგოდისტრიბუტორ კომპანიებთან აქტიურ თანამშრომლობაზე, მისი თქმით, აღნიშნული თანამშრომლობა თავისთავად ხელს შეუწყობს სამუშაოების სწრაფად და ხარისხიანად შესრულებას.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე